ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1829725

ნომერი: AR1298177

თარიღი : 30.03.2015

გაცემის თარიღი : 08.04.2015

გაცნობის თარიღი : 14.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დოლიძე , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რომანოზი რეხვიაშვილი პ/ნ 01009010054
- თბილისი,ვაჟა ფშაველას გამზ. მე-7 კვ კორპ.15 ბ.ამზ

ორგანიზაცია:
- სს "მაცნე" კოდი: 211358895

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ღიობების რეკონსტრუქცია, საჩრდილობლის და სარეკლამო აბრის მოწყობა) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, დოლიძის ქუჩა #10, შ.პ.ს. მაცნე კაპიტალი"-ს კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ღიობების რეკონსტრუქცია, საჩრდილობლის და სარეკლამო აბრის მოწყობა) განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. მაცნე კაპიტალი"-ს საკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014337676 03/07/2014 წ. საკადასტრო კოდი N 01.10.17.031.007.01.505, ასევე წარმოდგენილი ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, დოლიძის ქუჩა #10, შ.პ.ს. მაცნე კაპიტალი"-ს კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ღიობების რეკონსტრუქცია, საჩრდილობლის და სარეკლამო აბრის მოწყობა) განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, ვინაიდან თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.